

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის  
ოქმი N 11

ქ. თელავი

2020 წლის 21 ოქტომბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ალექსი ძულიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე.

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი

სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

მოისმინეს 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: ვასილ არაბულმა გამოთქვა მოსაზრება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ვასილ არაბულის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძების სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განხილული იქნას თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება რომ, მიხეილ ჯიდალიშვილისთვის ქონების იჯარით გადაცემის საკითხი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

ალექსანდრე შათირიშვილის მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

**გადაწყვეტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიხეილ ჯიდალიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 3. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** გიორგი თავბერიძემ აღნიშნა, რომ ხუცაიძეს ვადა გაუვიდა ა.წ. აპრილის თვეში, რის გამოც მის მიმართ გამოყენებული იქნა საჯარიმო სანქცია. ამჟამად შემოსულია განცხადებით ვადის გაგრძელების თაობაზე, მიზეზად პირობის არ შესრულებისა ასახელებს პანდემიას. თავბერიძე შემოდის წინადადებით, რომ პირობის შესრულების ვადა გაგრძელდეს ექვსი თვით.

გიორგი თავბერიძეს წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

**გადაწყვეტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მდებარე 240 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შექმნისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, ხოლო პირობის შესრულების ვადა განისაზღვროს ექვსი თვით.

**მოისმინეს.** 4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის შევსება და დააყენა წინადადება პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

ალექსანდრე შათირიშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს  
კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

გადაწყვიტეს: პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი  
ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის  
შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე:



ალექსანდრე შათირიშვილი